ხაშურის მოამბე

№3 16 ივნისი, სამშაბათი, 2015 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სესია

11 ივნისს, ადმინისტრაციული სახლის სხდომათა დარბაზში, გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სესია. სესიას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე.

სესიაზე დეპუტატებმა მოისმინეს შიდა ქართლის სატყეო სამმართველოს უფროსის კახა გაზდელიანისა და გაერთიანებული წყლის კომპანიის ხაშურის ფილიალის წარმომადგენლის ლევან ქურდაძის ინფორმაციები მათ სამსახურებში მიმდინარე პროცესებზე.

სესიაზე საკრებულოს წევრებმა ცვლილებები შეიტანეს „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 11 დეკემბრის №74 დადგენილებაში, რაც გამოწვეული იყო შესაბამისი ფაქტორით. ცვლილება განხორციელდება აგრეთვე საკრებულოს 2014 წლის 19 ნოემბრის №166 განკარგულებაში, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცებას ეხება.

როგორც გადაწყდა, ცნობილი ფესტივალის – „არტგენის“ ერთ-ერთი მასპინძელი წელს სურამიც იქნება, რაც მართლაც უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ჩვენი მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში. ფესტივალი თანადაფინანსებით ხორციელდება და სესიამ დაამტკიცა მისთვის გამოსაყოფი ფინანსები.

საშინელი ტრაგედია თბილისში

დაღუპული, დაშავებული და დაკარგული ადამიანები, ვერეს ხეობაში განადგურებული ინფრასტრუქტურა, დატბორილი სახლები, წაღებული ავტომობილები და განადგურებული ზოოპარკი.

13 ივნისს, ღამეს, დედაქალაქში ხუთ საათიანი წვიმის შედეგად დატრიალებული ტრაგედია თბილისს და საქართველოს დიდხანს ემახსოვრება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ მომხდარის გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულთა ოჯახებს.

გაზეთი „ხაშურის მოამბე“ უერთდება ამ სამძიმარს.

„ხაშურსერვისი“ - უკეთესი ხაშურისათვის

დილის გათენება უნდა გიხაროდეს, იმის შგრძნება, რომ ამ ქვეყნის შვილი ხარ, რომ ქალაქი, რომელშიც ცხოვრობ, ის ადგილია,

სადაც სულიერ და ფიზიკურ კომფორტს განიცდი, რომ შენი ფანჯრების უკან მზით გამთბარი, სუფთა, წვიმის გუბეებისგან თავისუფალი, განათებული ქალაქი გელოდება.

დაზიანებული გზის საფარები, ჩაბნელებული და ნაგავსაყრელად ქცეული ქუჩები- “ხაშურსერვისი” ცდილობს ეს პრობლემა ხაშურის ისტორიის უახლოეს წარსულში დატოვოს. დიდია მოსახლეობის კმაყოფილებაც. სუფთა და უსაფრთხო გარემო, ხვალინდელი დღის ოპტიმიზმს ქმნის. შედეგი ნამდვილად თვალსაჩინოა, თუ რა სამუშაოებს ასრულებს “ხაშურსერვისი”, უკეთესი ხაშურისათვის, უფრო კონკრეტულად ამ სამსახურის უფროსი ბ.ნ-ი ნუკრი ცხოვრებაძე ისაუბრებს:

ნუკრი ცხოვრება:

-მეორე წელია, რაც ა(ა)იპ-ი “ხაშურსერვისი”, ქალაქ ხაშურსა და 54 სოფელში შიდა გზების, გარე განათებების, დასუფთავების და საყოფაცხოვრო ნარჩენების გატანით სამუშაოებს აწარმოებს. ჩვენ ვემსახურებით დაბა სურამსაც. იმდენად მასშტაბური იყო ეს პრობლემები, ხაშურის მუნიციპალიტეტმა გადაწყვიტა, შეექმნა მსგავსი ტიპის სამსახური 1 000 000 ლარიანი ბიუჯეტით. ამ ორი წლის განმავლობაში, ჩვენმა 150 კაციანმა სამსახურმა, ბევრი კარგი საქმის გაკეთება და პრობლემის გადაწყვეტა შეძლო. ხაშურის ქუჩების 80% იგვება, ხდება გზების დაგრეიდერება, გარე განათებების მოწესრიგება.

-ნამდვილად შესამჩნევია ქუჩებში სისუფთავე, სოფლებშიც იკლო ნაგავსაყრელების რაოდენობამ. როგორ აწესრიგებთ და უმკლავდებით ამ, არც ისე მარტივ პრობლემას?

–გეთანხმებით, დასუფთავება ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევაა ჩვენთვის.

(გაგრძელება II გვერდზე)

„ხაშურსერვისი“ - უკეთესი ხაშურისათვის

(დასასრული)

გვყავს 3 სპეციალური მანქანა, 7 დაქირავებული და 2 - ჩვენი, რითიც ხდება ნაგავსაყრელებიდან და ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა სპეციალურად მოწყობილ ნაგავსაყრელზე, რომელიც მტკვრის სანაპიროზე, თაგვეთის მიმდებარე ტერიტორიაზეა და რაც უსაფრთხოა მოსახლეობისთვის, რადგან შემდგომ ხდება მისი დამარხვა. ყოველდღიურად იგვება ცენტრალური ქუჩები, ჩვენი 37 მეეზოვის მიერ. გვყავს ბუნკერების სარეცხი მანქანა, რაც საშუალებას გვაძლევს, დავიცვათ სანიტარული ნორმები. საკურორტო სეზონთან დაკავშირებით, დაბა სურამში გავზარდეთ მუშახელისა და მანქანების რაოდენობის ინტენსივობა. ჩვენი მანქანები ემსახურებიან სოფლებსაც. იქ, სადაც შეიძლება ხელი არ მიგვიწვდება და არის დარჩენილი ნაგავსაყრელი, თუ იქნება მოსახლეობის სურვილი და თანამონაწილეობა, შეგვიძლია, დავეხმაროთ მუშახელითა და ტექნიკით.

-ვიცი, რომ თქვენი სამსახურის კომპეტენციას არ წარმოადგენს მდინარეების კალაპოტების დასუფთავება, თუმცა ერთჯერადი აქცია მაინც განახორციელეთ ამ კუთხით...

-დიახ, ჩვენ გვქონდა საპილოტე პროგრამა, რის საფუძველზეც დავასუფთავეთ მდინარე სურამულას კალაპოტი, გავიტანეთ მოსახლეობის

მიერ მდინარეში ჩაყრილი ნაგავი. ეს მხოლოდ ერთჯერადი აქცია იყო, გარემოს კი ყოველდღიური გაფრთხილება და მოვლა ჭირდება. სკოლის მოსწავლეებთან ერთად დავასუფთავეთ სურამის ტყე-პარკი.

-რაც შეეხება ყველაზე მასშტაბურ პრობლემას, გზების საფარის არასახარბიელო მდგომარეობა, რაც დიდ დისკომფორტს უქმნის მოსახლეობას, რას აკეთებს “ხაშურსერვისი” ამ პრობლემების მოსაგვარებლად?

-ჩვენი სამსახურის კომპეტენციაში არ შედის გზებზე ასფალტის საფარის დაგება, ჩვენ მხოლოდ დაზიანებული მონაკვეთების დაგრეიდერებას, შებელის შეტანას და მოსწორებას ვახორციელებთ. ჩატარებული სამუშაოებით მოსახლეობის დიდი ნაწილი კმაყოფილებას გამოთქვამს. თუმცა პროცესი არ დასრულებულა და დღემდე მიმდინარეობს. “ხაშურსერვის”-მა ცხინვალის, ნინოშვილის, თუმანიშვილის, 26 მაისის, მარჯანიშვილის, ბაქოს, შანიძის, დადიანის, გორგასლის, თამარ მეფის, 9 აპრილის და კიდევ ბევრი ქუჩის დაგრეიდერება თუ მოსწორება შეძლო. ეს არ ეხება მხოლოდ ქალაქის ქუჩებს, სოფლებშიც ვაწარმოებთ მსგავსი ტიპის სამუშაოებს,რადგან პრობლემა ერთნაირად მწვავედ დგას ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისათვის.

-ძირითადად, რა ტიპის სამუშაოებს ახორციელებთ სოფლებში, რისი საჭიროება აქვს უფრო მეტად სოფლის მოსახლეობას?

-აქაც გზების, სანიაღვრე და წყალგამტარი არხების პრობლემა დგას. მოსახლეობის დახმარებით და მონაწილეობით ბევრი კარგი საქმის კეთებას ვახერხებთ. ხდება შიდა გზების გასწორება. მაგალითად, ქვემო ოსიაურში, საავტომობილო გზის პირას, მოსწორდა ნაგავსაყრელი, ახალი სასაფლაოს მისასვლელი ჩიხი, განხორციელდა ელდეპოსთან ნაგავსაყრელის მოჭრა-მოსწორება, გაიჭრა წყალგამტარი არხი, მოსწორდა ოსიაურიდან ახალსოფლისკენ მიმავალი გზა. მსგავსი ტიპის სამუშაოები ჩატარდა სოფელ ბროლოსანში, ჩორჩანაში, წაღვლში, ვაყაში, აძვისში, ცხრამუხაში და სხვა მრავალ სოფელში, სადაც საჭიროების მიხედვით ჩატარდა სამუშაოები-დაგრეიდერდა გზები, აღდგა სანიაღვრე და წყალგამტარი არხი, ნაგავსაყრელებიდან მოხდა ნაგვის გატანა, სასაფლაოების მიმდებარე ტერიტორიების გასუფთავება. ამჟამად, ჩვენი ტექნიკა მუშაობს მიწობის შიდა გზების რეაბილიტაციაზე, ხვალიდან ვიწყებთ სამუშაოებს სოფელი ფლევის შიდა გზების ასაჭრელად და მოსასწორებლად.

-თქვენი გაზეთის საშუალებით, მინდა, მოსახლეობას თხოვნით მივმართო: გამოვიჩინოთ გულისხმიერება და კეთილი ნება,

შევინარჩუნოთ ის, რასაც ჩვენი სამსახური მცირე რიცხოვანი თანამშრომლების საშუალებით აკეთებს, იმისთვის, რომ ერთად შევძლოთ ცხოვრება დასუფთავებულ, მოვლილ და განათებულ ქალაქში.

„ხაშურსერვისი“ თავის მხრივ, ტრანსპორტითა და მუშახელით დახმარებას პირდება იმ ადამიანებს, ვისაც სურვილი ექნებათ, საკუთარი სოფელი ან ქუჩა საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გაასუფთაოს და გაათავისუფლოს.

ეგებ „ჩვენმა“ ბანკებმა ამაზეც იფიქრონ

ბანკები რომ, ზოგადად, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის, ფინანსური სტაბილურობის, ბიზნესის აღორძინების თუ წარმატების ერთგვარი გარანტიაა, არავინ დავობს. რამდენად შეესაბამება ეს „აქსიომა“ ქართულ ბანკებს, ეს სხვა თემაა და, მოდით, ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ. დღეს კი სწორედ ბანკებთან მიმართებაში, მაგრამ სულ სხვა „თეზისი“ მინდა, „გავშალო“.

საქართველოში დღეს რის სიმრავლესაც არ ვუჩივით, ეს ბანკებია. არც ჩვენი ქალაქია გამონკლისი და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან ერთად მათი რიცხვი ოდნავ მეტიც კია ხაშურისათვის. თითოეული მათგანი უმსვილესი ფინანსური კაპიტალით იწონებს თავს. ამ ბანკებს (უფრო სწორად მათ ფილიალებს) ხაშურში საკმაოდ წარმატებული ბიზნესი აქვთ და ათასობით ხაშურელ მეანაბრეს ემსახურებიან. ახლა კი მთავარი სათქმელი: ამ ორიოდე წლის წინ უკრაინაში, ჩვენთან

დამეგობრებულ ქალაქ ნოვოგრად-ვოლინსკში ვიმყოფებოდი. ამ პატარა, მაგრამ ძალზე კოპწია ქალაქს მრავალი სკვერი თუ პატარა პარკი ამშვენებს. აბსოლუტურად ყველა მათგანში დგას სარეკლამო ბანერი, რომელიც იუწყება, რომ სკვერის (პარკის) მოვლა-პატრონობაზე ზრუნავს რომელიმე კონკრეტული ბანკი. როდესაც ქალაქის ხელმძღვანელებს ვკითხე, როგორ ახერხებენ ამას, რომ ქალაქის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაში ბანკებიც მონაწილეობენ, მათ გაუკვირდათ და გვითხრეს, რომ ამის „მოხერხებაზე“ არც წვალობენ და ბანკები თვითონ, საკუთარი ინიციატივით იღებენ თავის თავზე ამ საქმეს. მოგებული ყველა რჩება – ბანკიც (რეკლამა), ქალაქიც და მოსახლეობაც.

ახლა კი რიტორიკული კითხვა: როდისმე ვინმეს გინახავთ ჩვენთან რომელიმე ბანკს რამე გაეკეთებინოს ქალაქისათვის? ტყუილად ნუ დაიღლით თავს ფიქრისგან. მსგავსი არასოდეს მომხდარა. პირველი „გამონათება“ მხოლოდ წელს მოხდა, როდესაც „ლიბერთი ბანკმა“ ერთ-ერთი სახეშეცვლილი ქუჩის ნუმერაციაში მიიღო მონაწილეობა. არადა, რომელიმე სკვერზე პასუხისმგებლობა სულ რამდენიმე ასეული ლარი შეიძლება დაუჯდეს ბანკს, რაც მათთვის ღიმილისმომგვრელი თანხაა. შეიძლება ვინმე „გადარეულმა“ ოპონენტმა ეს ყველაფერი ბიზნესზე ზეწოლაში ჩამითვალოს. ღმერთმანი, აბსოლუტურად არ მაქვს ამის ფიქრი. პირიქით, ძალიან მინდა ეს ბანკები უფრო გაძლიერდნენ და მეტი მოგება ნახონ,

მაგრამ ვითომ ამ ქალაქზე ფიქრი მხოლოდ გამგეობის და საკრებულოს საქმეა? მსხვილი ბიზნესი მსოფლიოს ყველა ქვეყანაშია ჩართული ინფრასტრუქტურულ პროექტებში და რატომაა, რომ მხოლოდ ჩვენ ვართ გამონაკლისი? ჩვენთან არსებულმა ბანკებმაც იფიქრონ ამაზე და იმ ხალხს, ეგებ ვისგანაც სოლიდურ მოგებას იღებენ, სწორედ ამ მცირე ინფრასტრუქტურულ პროექტებში მონაწილეობით გადაუხადონ მადლობა. გალამაზებული ქალაქი კი მათთვისაც სასიამოვნო იქნება და ჩვენთვისაც.

გ. გოგოლაძე

სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური პროექტების ნუსხა

N	ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი	თანხა	პროექტის დასახელება
1		დიდი ბეკამი	7490	წყლის სისტემის რეაბილიტაცია
2		პატარა ბეკამი	9706	სანიაღვრე არხის მოწყობა
3		ურთხვა	5000	სკვერის კეთილმოწყობა და წყაროს აშენება
4		ურთხვა	2979	სკვერისათვის ატრაქციონების შესყიდვა
5		ზეკოტა	8169	არსებული წყაროს კეთილმოწყობა
6		ბიჯნისი	9242	ატრაქციონების შესყიდვა
7		დ.სურამი	5000	დარჩენილ უბნებში გარე განათების მოწყობა
8		დ.სურამი	5000	ტაბიძის ქუჩზე საკალათბურთო მოედანზე ასფალტის საფარის მოწყობა
9		დ.სურამი	9000	ცენტრალურ სკვერში საკანალიზაციო ქსელის მოწყობა
10		დ.სურამი	81048	სანიაღვრე არხების მოწყობა
11		დ.სურამი	7000	ატრაქციონების შესყიდვა
12		დ.სურამი	20000	ჩუმათელეთის დასახლებაში ხიდის მოწყობა
13	ხცისი	ხცისი	7000	გარე განათების დასრულება
14		ხცისი	15840	საფეხბურთო მოედნის მოწყობა
15		მიწობი	9385	საბავშვო ბაღის კეთილმოწყობა
16		კრისხევი	5096	სასმელი წყლის მაგისტრალის მშენებლობის დასრულება
17	წაღვლი	წაღვლი	5000	მოსაცდელის აშენება
18		წაღვლი	12055	გარე განათების მოწყობა
19		კლდისწყარო	500	სკვერის შემოღობვის დამთავრება
20		კლდისწყარო	2000	გარე განათების მოწყობა
21		კლდისწყარო	3835	ატრაქციონების შესყიდვა
22		ქვემო ბროლოსანი	4335	გარე განათების მოწყობა
23		ქვემო ბროლოსანი	1500	სარიტუალო დარბაზისთვის მასალების შესყიდვა
24		ზემო ბროლოსანი	5501	სარიტუალო დარბაზის კეთილმოწყობა
25		ჩორჩანა	4953	სასმელი წყაროების და სათავე ნაგებობის გაკეთება
26		წეღვერი	4667	მისასვლელი გზის მოხრეშვა
27		ტიტვინისწყარო	3000	გზის მოხრეშვა
28		ტიტვინისწყარო	1310	წყაროს მოსაწყობად მასალების შესყიდვა
29		ყობი	4131	სასმელი წყლის სისტემის მოწყობა
30	წრომი	წრომი	4800	გარე განათების მოწყობა
31		წრომი	13000	სასაფლაოს შემოღობვა
32		ახალშენი	3900	გარე განათების მოწყობა
33		ახალშენი	3172	მოსაცდელის აშენება
34		ნადარბაზევი	1500	გარე განათების მოწყობა
35		ნადარბაზევი	2619	წყლის სისტემის მოწობა
36		იმერლიანთკარი	2944	გზის რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხის მოწყობა
37		დიდი ხავლეთი		
38		დიდი ყელეთი	3200	გარე განათების მოწყობა
39		დიდი ყელეთი	1360	სასმელი წყლის სისტემის მოწყობა
40		პატარა ყელეთი	4500	წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა
41	ხალები	დიდი ხალები	3000	სოფლის სასაფლაოსთან მისასვლელ გზაზე სანიაღვრე არხის მოწყობა
42		დიდი ხალები	1548	გარე განათების მოწყობა
43		პატარა ხალები	4060	ხაშური-პატარა ხალების დამაკავშირებელ გზაზე სანიაღვრე არხის მოწყობა
44		ღართა	4346	სასმელი წყლის სათავე ნაგებობის და სასმელი წყლის სისტემის მოწყობა
45		სარტყელა	4203	სასმელი წყლის სათავე ნაგებობის და წყლის სისტემის რეაბილიტაცია
46		ღვრია წყალი	3000	ხაშური-ღვრიაწყლის დამაკავშირებელ გზაზე არსებულ ღელეში სანიაღვრე არხის მოწყობა
47		ღვრია წყალი	1346	გარე განათების მოწყობა
48		ალექსანდრეს წყარო	4048	ხაშური ალ.წყაროს დამაკავშირებელ გზაზე სანიაღვრის მოწყობა
49	ქვიშხეთი	ქვიშხეთი	83158	საბავშვო ბაღის რეკონსტრუქცია/რეაბილიტაცია
50		ბეღლეთი		
51		ტეზერი		
52		ყიფიანთუბანი		
53		ტაშისკარი		
54		მონასტერი	6300	სამშენებლო მასალების შესყიდვა
55		ბულბულისციხე	1500	სარიტუალო დარბაზისთვის მასალების შესყიდვა
56		ბულბულისციხე	3406	წყლის სისტემის რეაბილიტაცია
57		სათივე	7919	წყლის სისტემის რეაბილიტაციისთვის მასალების შესყიდვა
58		სარმანიშვილისკარი	5823	გარე განათების მოწყობა
59		სავანისუბანი	7772	გარე განათების მოწყობა
60		სავანისუბანი	1100	სანიაღვრე არხის მოწყობა
61		რუსაანთუბანი	5394	სარიტუალო დარბაზის კეთილმოწყობა
62	ცხრამუხა	ცხრამუხა	9000	გარე განათების მოწყობა
63		ცხრამუხა	12500	სოფლის ცენტრში სკვერის მოსაპირკეთებელი სამუშაოების და კოშკის შეკეთებითი სამუშაოების ჩატარება
64		ცხრამუხა	4000	ომში დაღუპულთა მემორიალის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების დამთავრება და სასაფლაოს მესერის შეკეთება
65		ცხრამუხა	17000	სასმელი წყლის სისტემის მოსაწყობად მასალების შესყიდვა
66		ცხრამუხა	7100	დასასვენებელი ბაღის მოწყობა
67		თაგვეთი	3000	დაკიდული ხიდის შეკეთება
68		თაგვეთი	10859	გზის შეკეთება
69		ქაშვეთი		
70		კოდისწყარო		
71		დამჩხეულა	4100	გზის მოხრეშვა და სანიაღვრეების გაკეთება
72		დამჩხეულა	400	პლასტმასის ავზების შესყიდვა

73	ოსიაური	ზემო ოსიაური	13000	მინი სტადიონის საფარის დაგება
74		ზემო ოსიაური	6000	სასაფლაოს გალავნის დასრულება
75		ზემო ოსიაური	7000	სკვერის მშენებლობის დასრულება
76		ქვემო ოსიაური	5000	მოსაცდელის აშენება
77		ქვემო ოსიაური	10640	სასაფლაოს შემოღობის დასრულება
78		ქვემო ოსიაური	5418	საჭიდაო მოედნის რეაბილიტაცია
79		ახალსოფელი	3180	წყლის მილების შესყიდვა
80		ახალსოფელი	3000	ატრაქციონების შესყიდვა
81	ფლევი	დიდი ფლევი	15637	გარე განათების მოწყობა
82		პატარა ფლევი	8741	გარე განათების მოწყობა
83		ნაცარგორა	8396	გარე განათების მოწყობა
84		ტკოცა	16138	სოფლის ამბულატორიის მშენებლობის დასრულება
85	ცოცხნარა	ქემფერი	13302	გარე განათების მოწყობა
86		ცოცხნარა	9313	გარე განათების მოწყობა
87		წაბლოვანა	5168	სარიტუალო დარბაზის მშენებლობის გაგრძელება
88		ცედანი	5311	წყლის რეზერვუარის მოწყობა და დაქსელვა
89		ოძისი	1500	წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა
90		ოძისი	3251	გარე განათების მოწყობა
91		ცივწყარო	2000	არსებული წყაროს რეკონსტრუქცია
92		ცივწყარო	2774	წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა
93	ალი	ალი	20000	სანიაღვრე არხების მოწყობა
94		ალი	8919	წყაროს რეაბილიტაცია და სასმელი წყლის დაზიანებული მაგისტრალის ამოცვლა
95		ბრილი	18521	სასმელი წყლის სათავე ნაგებობის შეკეთება
96		ახალუბანი	5037	სასმელი წყლის სათავის შემოღობვა და მაგისტრალის შეკეთება
97		დუმაცხოვი	6204	წყაროს რეაბილიტაცია და სასმელი წყლის დაზიანებული მაგისტრალის ამოცვლა
98		ზემო აძვისი	5608	სარიტუალო დარბაზის გადახურვა
99		კლდისწყარო	4453	არტეზიული ჭის და მაგისტრალის მოწყობა
100		ცხეთიჯვარი	8217	სასმელი წყლის სისტემის მოწყობა
101		უწლევი	4298	გარე განათების მოწყობა
102		ნაბახტევი	15000	სამანქანო ხიდის მოწყობა
103		ნაბახტევი	3842	გარე განათების მოწყობა
104		ქინძათი	9587	სასაფლაოს შემოღობვა
105	გომი	გომი	27573	ძველი ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია სპორტულ-კულტურულ ცენტრის მოსაწყობად
106		ხიდის ყური	4977	ატრაქციონების შესყიდვა
107		ვაყა	26441	გარე განათების მოწყობა
108		ქვემო აძვისი	5418	სანიაღვრე არხის მოწყობა
109		დიდი საჩივე	8991	გარე განათების მოწყობა
110		პატარა საჩივე	4917	სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა
111		აგარები	5835	გარე განათების მოწყობა
სულ 855 226 ლარი				

არ დავიწყება მოყვრისა, აროდეს გვიზამს ზიანსა“
შოთა

ჩვენი თანამემამულენი

წიგნი, რომელიც მომზადებულია გამოსაცემად, შედგება ხელნაწერი თითქმის 600 გვერდისაგან და მოიცავს 11 თავს. ნაშრომი ნათელს ჰფენს საქართველოში გზების, ხიდების, გვირაბებისა და სხვადასხვა სახის ხელოვნურ საინჟინრო ნაგებობათა მშენებლობას ისტორიულ წარსულში შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ვიდრე XXI საუკუნის დასაწყისამდე.

მკითხველი, ვფიქრობ, ბევრ საინტერესოს ამოიკითხავს საქართველოში ურთულეს ისეთი კომუნიკაციების აგების შესახებ, როგორიცაა სურამის გვირაბის მშენებლობა XIX საუკუნის მიწურულს, რომლის სიგრძე თითქმის 4 კილომეტრია (3998 მეტრი) და კაპიტალური, ხანგამძლე ხიდების აგება XX საუკუნის დასაწყისში, როგორიცაა, მაგალითად, მრავალმალიანი რკინა-ბეტონის ხიდი მდინარე ენგურზე სიგრძით 600 მეტრისა.

სურამის გვირაბის მშენებლობას უძღვებოდა პოლონელი ინჟინერი ფერდინანდ რიძევსკი (1890-1896 წწ), ენგურის ხიდის მშენებლობას კი ხელმძღვანელობდა ხიდების მშენებელი, ცნობილი ინჟინერი გერასიმე ბერია. მოვლენებს ცოტა წინ გავუსწრებ და მკითხველს აქვე შევახსენებ, რომ ბატონმა გერასიმემ რამდენიმე წელს იმოღვაწა ხაშურში და ააგო ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველი უნიკალური, ეგრეთწოდებული, ხიდი-მილი მდინარე სურამულაზე სოფელ ჩუმათელეთთან რიკოთის გვირაბის დასაწყისამდე.

თხრობამ გამიტაცა და მთავარ სათქმელს ცოტათი ავცდი. მინდოდა მეთქვა, რომ მომავალი წიგნი, რომელიც მოიცავს 11 თავს, მე-7 და მე-8 თავებში მოგვითხრობს ხაშურელ გზათა მშენებელთა და ცნობილ ხაშურელ ინჟინრებზე, აგრეთვე ინჟინერთა იმ კატეგორიაზე, რომელნიც უშუალოდ ცხოვრობდნენ, მოღვაწეობდნენ და ახლო კავშირში იყვნენ ჩვენს რაიონთან. ბევრი მათგანი თუ კარგახანია გამოაკლდა ჩვენს რიგებს და დატოვეს დაუვიწყარი სახელი, ბევრნი კი დღესაც წარმატებით მოღვაწეობს, აღწევენ უნიკალურ შედეგებს საინჟინრო საქმიანობაში და სახელს უთქვამენ ჩვენს რაიონს.

ასეთი ნაშრომის გამოცემა პირველი მცდელობაა ჩვენი რაიონის მასშტაბით, ამიტომ წიგნში შესაძლებელია, აღმოჩნდეს სხვადასხვა სახის ხარვეზი და ლაფსუსი, რომელიც, რა თქმა უნდა, მომავალში უნდა შესწორდეს. მივმართავ ხაშურელ მკითხველს დიდი თხოვნით – თუ თქვენ აღმოაჩენთ, რომ შემთხვევით გამოტოვებულია რომელიმე ცნობილი მოღვაწე, მშენებელი ინჟინერი, გთხოვთ, მომაწოდოთ მათი მოკლე დოსიე ფოტოსურათთან ერთად და წიგნის შესაბამის თავში შეტანილი იქნება მომდევნო გამოცემაში.

ახლა კი ძალზე მოკლედ, ზოგიერთ მათგანზე.

ინჟინერი **მიხეილ ბითაძე,** ხაშურის მკვიდრი, საინჟინრო ნაგებობათა მშენებლობის ბრწყინვალე სპეციალისტი დაბადებული 1903 წელს მოღვაწეობდა თბილისში სხვადასხვა საპროექტო ორგანიზაციებში, აგრეთვე საავტომობილო გზების სისტემაში. ბოლო წლებში სამშენებლო საქმიანობას ეწეოდა კრასნოიარსკის მხარის ქალაქ ნორილსკში. 1966 წელს მას მიენიჭა ლენინური პრემია მუდმივად გაყინულ გრუნტებზე ნაგებობათა საძირკვლების კონსტრუქციის დამუშავებისა და დანერგვისათვის, არის მრავალი ჯილდოს მფლობელი. ცნობილია, რომ მისი ბიუსტი ამშვენებს ქალაქ ნორილსკს, რომელიც სიცოცხლეში აუგეს.

***

ცნობილმა ინჟინერმა **ალექსანდრე ინასარიძემ,** განვლო ძალზე რთული გზა სამშენებლო საქმიანობაში, რომ მიეღწია იმ დიდი აღიარებისთვის, რომელიც მან მოიპოვა და ძალზე ლაზათიანად ჩაიწერა ხაშურელ მშენებელ ინჟინერთა თანავა-რსკვლავედში, ცოდნასა და ენერგიას არ ზოგავდა სამშენებლო საქმიანობის განვითარებისთვის რაიონში.



ბატონი ალექსანდრე დაიბადა 1915 წელს. ხაშურელ ყმაწვილს არ ასვენებდა სურვილი სტიქიური უბედურებების მოთოკვისა და სკოლის დამთავრებისთანავე მონახა შესაბამისი სასწავლებელი თბილისში. ჯერ დაამთავრა ჰიდროსამშენებლო ტექნიკუმი, ხოლო შემდეგ ჩაირიცხა მოსკოვის საინჟინრო-გეოდეზიურ ინსტიტუტში. აღნიშნული ინსტიტუტის რეორგანიზაციის გამო ბატონმა ალექსანდრემ სწავლა განაგრძო და დაამთავრა თბილისის ინდუსტრიული ინსტიტუტის საინჟინრო- სამშენებლო ფაკულტეტი. ნაყოფიერად იღვაწა სხვადასხვა სამშენებლო ორგანიზაციებსა და ქალაქის აღმასკომში. იბრძოდა ფაშიზმის წინააღმდეგ სამამულო ომში მის ძლევამოსილ გამარჯვებამდე. იგი იყო მრავალი ჯილდოს მფლობელი და რაციონალურ წინადადებათა ავტორი. შექმნა შესანიშნავი ოჯახი ქალბატონ მარიამ აფრიაშვილთან ერთად და აღზარდეს ეგზომ საამაყო შვილები – ნანა და რევაზი (ვრცლად აღნიშნულ წიგნში). ბატონი ალექსანდრე გარდაიცვალა 1994 წელს.

***

შესანიშნავი ინჟინერ-მექანიკოსი, უდიდესი დონის პროფესიონალი-სპეციალისტი, ბატონი **გოდერძი ქიტიაშვილი,** ხაშურის მკვიდრი, მრავალმხრივ განათლებული და ერუდირებული პიროვნება იყო. მას ამკობდა დიდი და შესაშური ადამიანური თვისებები. თავდაუზოგავ შრომას ეწეოდა არჩეული სპეციალობით. ერკვეოდა რა თანამედროვე ტექნიკის მიღწევების ურთულეს საქმეში, თავადაც ნერგავდა სხვადასხვა სახის რაციონალიზატორულ წინადადებებს. იგი თავგამოდებით ზრდიდა ახალგაზრდობას და გადასცემდა თავის უბადლო ცოდნას ტექნიკის დარგში. ბედმა არ აცალა ამ ბრწყინვალე სპეციალისტს დიდხანს ემოღვაწა თავისი ხალხის საკეთილდღეოდ. ხაშურზე და ხაშურელებზე ეგზომ შეყვარებული ადამიანი და შესანიშნავი ოჯახის პატრონი, შემოქმედებითი აყვავების პერიოდში, ენერგიით აღსავსე, 50 წლის ასაკში აღესრულა 1982 წელს. მან დატოვა დაუვიწყარი და ნათელი კვალი საზოგადოებრივ გარემოცვასა და ცხოვრებაში.

***

უმაღლესი კლასის სპეციალისტმა-პროფესიონალმა ინჟინერ-გეოდეზისტმა **გივი სიმონის ძე შენგელიამ**, დაბადებულმა 1919 წელს, სასურველი პროფესიის მიღებისათვის გეოდეზიურ მეცნიერებაში, ლაბირინთებით ჩახლართული გზა გაიარა. ჯერ თბილისის სარკინიგზო ტექნიკუმი დაამთავრა, შემდეგ კი სურდა სწავლა სანუკვარი სპეციალობით გაეგრძელებინა, მაგრამ ყმაწვილს სამამულო ომმა მოუსწრო. მტერს ბოლომდე მიჰყვა და მრავალ საბრძოლო ჯილდოებით მკერდდამშვენებულმა მოსკოვის გეოდეზიის, აეროაგეგმვისა და კარტოგრაფიის საინჟინრო ინსტიტუტს მიაშურა. თავდაუზოგავი სწავლით ინჟინერ-გეოდეზისტის წითელ დიპლომს დაეუფლა.

ბრწყინვალე სპეციალისტსა და გარეგნობით მომხიბლელ ვაჟკაცს მოსკოვის სამეცნიერო საზოგადოება ხელიდან არ უშვებდა, მაგრამ სურვილმა გამარჯვება იზეიმა, – საქართველოს დაუბრუნდა და პირდაპირ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მიიწვიეს ლექციების საკითხავად. შესანიშნავი სახელმძღვანელოც შექმნა ამ ურთულეს მეცნიერებაში – „გეოდეზიის საფუძვლები“ და მეცნიერული რეგალიების ყველა დონეს მიაღწია.

დაღვინებული პროფესიონალი საბჭოთა კავშირის მთავრობამ მთელი ამიერკავკასიის სახელმწიფო გეოდეზიური სამსახურის უფროსად დანიშნა. იგი იყო უდიდესი საინჟინრო-გეოდეზიური სამუშაოების კოორდინატორი სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში. განსაკუთრებით უყვარდა ხაშური და მისი საზოგადოება, ცხოვრობდა სურამში, სოფელ ბუღაურაში მეუღლესთან - ქალბატონ თინათინ კურტანიძესთან ერთად. დიდი მიღწევების მქონე სპეციალისტი - მეცნიერი ერთ-ერთი უდიდესი და ურთულესი საპროექტო ინსტიტუტის დირექტორად მიიწვიეს თბილისში, სადაც დიდი წარმატებით უძღვებოდა უდიდეს საინჟირო-მეცნიერულ კონტიგენტს.

არც ბატონ გივი შენგელიას დასცალდა ბოლომდე დაეხარჯა თავისი პრაქტიკული ცოდნა, საყვარელი ხალხის სამსახურში. მოზღვავებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული ენერგიის აყვავების პროცესში 54 წლის ასაკში 1973 წელს ინსტიტუტის დირექტორის პოსტზე მყოფი მოულოდნელად აღესრულა. მის საქმეს და ხსოვნას აგრძელებს მისი შესანიშნავი ოჯახი: მეუღლე-ქალბატონი თინა და შვილები ქეთევანი და დავითი.

***

ბატონი **ალექსანდრე სამადბეგოვი** და გივი შენგელია მეგობრები იყვნენ. ალექსანდრე 1919 წელს დაიბადა სურამში, ყარამან სამადბეგოვის ოჯახში და ცხოვრობდნენ ცენტრში, განათლების ქუჩაზე. მისი სურვილიც ყოფილა ინჟ-ინერი გამხ-დარიყო და როგორც მი-სმა მეგობარმა გივიმ, ისევე მანაც ჯერ თბილისის რკინიგზის ტექნიკუმი დაამთავრა, შემდეგ კი - ანალოგიურად იბრძოლა და იღვაწა სამშობლოსათვის ავის მომასწავებელ დღეებში და შემდგომ დაამთავრა მოსკოვის გეოდეზიის, აეროაგეგმვისა და კარტოგრაფიის საინჟინრო ინსტიტუტი ინჟინერ-კარტოგრაფის სპეციალობით.



მან მიაღწია უდიდეს შედეგებს კარტოგრაფიული მეცნიერების განვითარების საქმეში. შექმნა უნიკალური ნაშრომი-სახელმძღვანელო სტუდენტთათვის „კარტოგრაფიის საფუძვლები“. ამ სახელმძღვანელოს ბადალი საინჟინრო-კარტოგრაფიულ მეცნიერებაში საქართველოში არ მოიპოვება.

ბატონი ალექსანდრე თავისი სახელითა და მიღწევებით სამართლიანად დგას ისეთი ქართველი მეცნიერების გვერდით, როგორიც იყვნენ აკადემიკოსები თეოფანე დავითაია და ალექსანდრე ასლანიკაშვილი.

ბატონი ალექსანდრე სამადბეგოვი კითხულობდა ლექციებს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში თბილისში და პერიოდულად მას მიჰყავდა ლექციები საინჟინრო კარტოგრაფიასა და გეოდეზიაში სოხუმში აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მის სახელთან სამართლიანად არის დაკავშირებული საინჟინრო-კარტოგრაფიული მეცნიერების განვითარება საქართველოში, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით აიგო კარტოგრაფიული ფაბრიკის შენობა თბილისში, რომელიც ერთადერთია ამიერკავკასიაში და დიდხანს იყო მისი დირექტორი. ფაბრიკა დღესაც დიდი წარმატებით აგრძელებს მსოფლიო მასშტაბის სამუშაოებს ამ დარგში.

ბატონი ალექსანდრე გარდაიცვალა 66 წლის ასაკში 1985 წელს.

ნათელი ხსოვნა მათ, რომელთაც უანგარო შრომით დადეს თავი ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ.

იუზა გელაშვილი

ნუ გადაყრით პოლიეთილენის ბოთლებს, ყავის, ლუდის ქილებს, ძველ გაზეთებს... მათგან საოცრებები შეიძლება დამზადდეს

-რასაც თქვენ აქ ხედავთ, ეს მხოლოდ მცირე ნაწილია ჩემი ნამუშევრების, ეს ყველაფერი საბავშვო ბაღისთვის შევქმენი და თემატური დანიშნულება აქვს. დიდი ნაწილი კი უკვე ჩემი ნათესავების, მეგობრების საკუთრებაა. ძალიან ბედნიერი ვარ, როცა ჩემი ნახელავით ადამიანების გაბედნიერება შემიძლია- გვითხრა ლიდა ლაცაბიძემ. იგი ხაშურის №I ბაღის მეთოდისტია. მის გაჩუქებულ ნამუშევარს შემთხვევით წავაწყდით და დავინტერესდით.

ლიდა ლაცაბიძე-

-ყველაფერი ჩემი ოჯახიდან მოდის, ბებია ქსოვდა ხალიჩებს ქართული ორნამენტებით, მამიდაც და დედაც ქსოვდნენ ოჯახისთვის ტანსაცმელს. ქსოვა პირველად მამიდამ მასწავლა, პირველ კლასში ვიყავი უკვე წინდებს ვქსოვდი, ვქარგავდი, ვხატავდი. ექვსი წლისას გამოფენაც გამიკეთეს. შემდეგ უკვე სკოლაში მიწყობდნენ გამოფენებს. ამის მერე იყო შესვენების პერიოდი.. უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ, გავაგრძელე მუშაობა. აღმოჩნდა, რომ მაქვს განსაკუთრებული ნიჭი, დეკორატიული ნივთების კეთების. სწავლასთან ერთად, პარალელურად ამ საქმიანობითაც ვიყავი დაკავებული.

-რაიმე განათლება თუ გაქვს ამ კუთხით მიღებული, თუ ეს ყველაფერი თვითგანათლების და ნიჭის შედეგია?

-მე ახალციხიდან ვარ. გავიგე, რომ ახალციხეში ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ გახსნა სამთვიანი კურსები, სადაც შეისწავლებოდა ბისერებით ქსოვა, ქარგვა, სხვადასხვა ხელსაქმე. გაიცემოდა სერთიფიკატები. ძალიან დიდი და პრაქტიკული ცოდნა მივიღე. გაიმართა ხელნაკეთი ნამუშევრების გამოფენა, სადაც მივიღე მონაწილეობა. გამოფენას ესწრებოდნენ ამერიკელები, რომლებიც დაინტერესებული იყნენ ჩვენი ორნამენტული ხელოვნებით, ჩემმა ნამუშევარმა დიდი მოწონება დაიმსახურა. გათხოვების შემდეგ ხაშურის №I საბავშვო ბაღში დავიწყე მუშაობა. მაქვს ოთახი ჩემი ხელსაქმისთვის, რესტავრაცია გავუკეთე ძველ ნივთებს, სათამაშოებს, საწოლებს. საბავშვო ზეიმებისთვის ვაკეთებ დეკორაციებს, რომელსაც მრავალჯერადი გამოყენება აქვს.

-ძირითადად რა მასალას იყენებ?

-დავიწყებ იქიდან, რომ იდეას მაძლევს მასალა, რა შეიძლება ქაღალდისგან გაკეთდეს, ძველმა გაზეთმა რა ფორმა შეიძლება მიიღოს. ვიყენებ ფერად ქაღალდებს, საღებავებს, ლაქებს, პოლიეთილენს, გამოყენებულ ქილებს, ნიჟარებს, ბისერებს. ყველაფერს შეიძლება გამოყენება მოუნახო. ვაკეთებ კედლის აპლიკაციებს, მისალოც ბარათებს, საყვავილეებს, სახილეებს, ქოლგებს, ყვავილების კალათებს. გამოფენაზე მქონდა გატანილი პოლიეთილენის პარკებიგან მოქსოვილი ჩაის სერვისი, რომელმაც განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა.

-როგორც მივხვდი, ეს დიდ მატერიალურ ხარჯებთან არაა დაკავშირებული...

-ნამდვილად არა, ჩემს სამუშაო მასალას მეორადი და უკვე გამოყენებული ნივთები წარმოადგენს. ეს მაგიდა, მაგალითად, ყავის კოლოფისგანაა დამზადებული. ეს ხილის ვაზა, ძველი გაზეთებისგან, მას როგორც დეკორატიული, ასევე პრაქტიკული დანიშნულება შეგვიძლია მივცეთ. პოლიეთილენის ბოთლისგან სხვადასხვა ხილს ვამზადებ. ვცდილობ, ეს ყველაფერი ნაკლებ ფინანსებთან იყოს დაკავშირებული.

-არ გიფიქრია, სასიამოვნო სასარგებლოსთან შეგეთავსებინა და ეს ყველაფერი მატერიალური შემოსავლის წყაროდაც გექცია?

-ჩემთვის ყველაზე დიდ პრობლემას დროის უქონლობა წარმოადგენს. ჩემი შვილები და სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვენ ჩემგან. დიდი სურვილი მაქვს, გავხსნა ხელსაქმის მოყვარულთა წრე, სადაც ბავშვებს ვასწავლი და გავუზიარებ ჩემ ცოდნას. ამჟამად არ მაქვს საკმარისი რაოდენობა ნამუშევრების, რომ გამოფენა გავაკეთო, აღარც მახსოვს, ვის რა ვუსაჩუქრე. არც რეალიზაციის შესაძლებლობაა, ისევ დროის სიმცირის გამო.

-ახლა თუ აკეთებ რაიმე ორიგინალურს?

-ბევრი იდეა მაქვს, დავიწყე სახლის და ეზოს გაკეთება, ორიგინალურობა სწორედ იმაშია, რომ მასალად აქაც მეორადი გამოყენების საგნებს გამოვიყენებ. სახლს თეთრი ქაფებით ვაკეთებ, ეზოს- ნაყინის ჩხირებით, სახურავს ლუდის ქილებისგან. საკმაოდ დიდი მოცულობის იქნება და ისიც ამ ბაღში დაიდებს ბინას. იდეაში მაქვს გაზეთებისგან საბავშვო ეტლისა და ველოსიპედის გაკეთება.

-და ბოლოს, რა ბედი ეწია ბებიას ხალიჩების ქსოვის ტრადიციას, თუ აგრძელებ

მის საქმეს?

-სამწუხაროდ, ხალიჩების ქსოვის ტრადიცია აღარ შემორჩა ჩვენს ოჯახს. აღარ გვაქვს დაზგა, სადაც ბებია ქსოვდა ხალიჩებს. მაგრამ ძველ

ქართულ ორნამენტებს ისევ ვიყენებ წინდებსა და სხვა ნაქსოვ ნივთებში.

წარმატებები ვუსურვე ლიდას და უამრავი მადლობა, იმ ესთეტიური სიამოვნების მიღებისთვის, რაც მისმა ნამუშევრებმა მოახდინა ჩემზე. ჩვენი გაზეთი მზადაა მომავალშიც შემოგთავაზოთ სასიამოვნო სიახლეები მისი შემოქმედებითი ცხოვრებიდან, მან კი თავის მხრივ საქორწილო მოსაწვევების გაკეთების პირობა მომცა.

თ. ჯავახიშვილი

საჩუქარი - ბავშვებს

ამ დღეებში, სამშაბათს, 14 საათზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკამ,

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის "ხაშურის აღორძინება", თავმჯდომარის ბ.ნ. პავლე ლაცაბიძის მხარდაჭერით, მოეწყო გასვლითი ღონისძიება სოფ. ცხრამუხაში. ბავშვებისთვის ნაჩვენები იყო სპექტაკლი "სატკბილეთის ქვეყანა ირმა მალაციძის საბავშვო პიესის მიხედვით, რომელშიც მონაწილეობდნენ ხაშურის №7 საჯარო სკოლის მოსწავლეები. სპექტაკლი მოამზადა ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილების ღონისძიებების ორგანიზატორმა , ქალბატონმა ნონა ტეფნაძემ. სპექტაკლი ერთნაირად სასიამოვნო სანახავი აღმოჩნდა, როგორც პატარებისთვის, ისე დიდებისთვის. ლამაზმა დეკორაციებმა, პატარა მსახიობების არტისტიზმმა, "კარამელიას" ტკბილეულით სავსე ქვეყანამ, დევიზით "არც ერთი მტირალა ბავშვი", აღფრთოვანებაში მოიყვანა პატარა მაყურებელი. მათაც აპლოდისმენტები არ დაიშურეს პატარა მსახიობებისთვის. გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები და მომავალში ისევ შეხვედრის სურვილით გააცილეს თანატოლები. ღონისძიების შემდეგ, სპექტაკლის მონაწილეებმა მოილოცეს კვირაცხოვლის ტაძარი. რის შემდეგაც, ბატონმა პავლემ ტკბილეულით უმასპინძლა პატარებს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა, ხაშურის №7 საჯარო სკოლის მოსწავლეები და მათი მშობლები მადლობას უხდიან ბატონ პავლეს ასეთი თნადგომისა და გულისხმიერებისათვის, რომელმაც კიდევ ერთი ლამაზი და დაუვიწყარი დღე აჩუქა ჩვენს პატარებს.

D მეუღლე ვაჟა ძანაშვილი, შვილი ბორისი, შვილიშვილები ვაჟა და ეკა ძანაშვილები, შვილთაშვილები დავით რაზმაძე, ნინი, მარიამ ჩხეიძეები, ნიკოლოზ ძანაშვილი და ჯულიეტა ზაქარიაძე, დისშვილები ხათუნა ბლიაძე და მარიკა გელაშვილი, ემზარი და ელიკო ზაქარიაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნელი ივანეს ასული ძანაშვილი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი **გიორგი გოგალაძე**, რედაქტორი **რობერტ სუხიაშვილი.** მისამართი: **ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2.** ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe 2015@.gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის" ხაშურის ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი **443860984,** ბანკის კოდი **LBRTGE22,** ანგარიში **GE80LB0115114434590001**.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით
გაზეთი გამოდის სამშაბათობით და იბეჭდება თბილისში.